

ცვლილება №3	AMENDMENT NO. 3
<p>ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების წინამდებარე ცვლილება №3 „ცვლილება“) გაფორმებულია 2011 წლის 6 აპრილს ერთი მხრივ ქ. თბილისის მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“ ან „მეიჯარე“) და მეორეს მხრივ შპს „სი-ტი პარკ“-ს (შემდგომში „სი-ტი პარკი“ ან „მოიჯარე“) შორის.</p>	<p>This Amendment No. 3 to the Agreement on Lease Out of Exclusive Right to Manage Parking Field of the City in Order to Regulate Vehicle Parking Possibilities on Tbilisi Roads (the “Amendment”) is made on April 6, 2011, by and between <b>TBILISI CITY GOVERNMENT</b> (“TCG” or “LESSOR”), and <b>C T PARK LTD.</b> (“CTP” or “LESSEE”).</p>
<p>ვინაიდან, მთავრობამ და სი-ტი პარკმა გააფორმეს შემდეგი დოკუმენტები: (ა) ხელშეკრულება ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ, დათარიღებული 2007 წლის 7 დეკემბრით; (ბ) ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ 2007 წლის 7 დეკემბრის ხელშეკრულების დამატება; (გ) ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ 2007 წლის 7 დეკემბრის ხელშეკრულების დამატება №2; (დ) ქ.თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ცვლილება №1, დათარიღებული 2008 წლის 31 დეკემბრით, (ე) ქ.თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ცვლილება №2, დათარიღებული 2009 წლის 23 ივლისით (შემდგომში „მეორე ცვლილება“) (შემდგომში ერთად „თავდაპირველი ხელშეკრულება“);</p>	<p><b>WHEREAS</b>, TCG and CTP have executed the following documents: (A) Agreement dated December 7, 2007, on Lease Out of Exclusive Right to Manage Parking Field of the City in Order to Regulate Vehicle Parking Possibilities on Tbilisi Roads; (B) Supplement to Agreement on Lease Out of Exclusive Right to Manage Parking Field of the City in Order to Regulate Vehicle Parking Possibilities on Tbilisi Roads, dated December 7 2007; (C) Supplement to Agreement No 2 on Lease Out of Exclusive Right to Manage Parking Field of the City in Order to Regulate Vehicle Parking Possibilities on Tbilisi Roads, dated December 7 2007; (D) Change to Agreement # 1 on Lease Out of Exclusive Right to Manage Parking Field of the City in Order to Regulate Vehicle Parking Possibilities on Tbilisi Roads, dated December 31 2008, (E) Change to Agreement # 2 on Lease Out of Exclusive Right to Manage Parking Field of the City in Order to Regulate Vehicle Parking Possibilities on Tbilisi Roads, dated July 23 2009 (the “<b>Second Amendment</b>”), (together, hereinafter, the “<b>Original Agreement</b>”);</p>
<p>ვინაიდან, 2009 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში, შეიცვალა გარკვეული კანონები და დადგენილებები რომელიც არეგულირებს პარკირების სფეროს ქ. თბილისის ტერიტორიაზე (მათ შორის, პარკირების საფასურის გადახდა წლიურად და არა საათობრივად, ასევე პარკირების საფასურის და პარკირების წესების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმების ოდენობის შეცვლა); და</p>	<p><b>WHEREAS</b>, during September and October of the year of 2009, certain laws and resolutions pertaining to the regulation of parking in the city of Tbilisi have been changed (including, inter alia, having parking fees charged on an annual basis and not on an hourly basis, and changing the amounts of parking fees and parking fines charged for parking violations); and</p>

მ) თბ

ი. ი. ი. ი.

ლ. ლ. ლ.



<p>ვინაიდან, წინამდებარე ცვლილების მხარეები თანხმდებიან, რომ თითოეული მხარე სამუდამოდ იხსნის უფლებას მეორე მხარის მიმართ ნებისმიერი და ყველა პრეტენზიის, სარჩელის, უფლების, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის ან სასამართლო ან საარბიტრაჟო მოთხოვნისაგან ფინანსური ზიანისათვის ან სხვა მოქმედებებისაგან რომელიც მიმართულია ბრალეული მხარის მხრიდან ზიანის აღმოსაფხვრელად, ფულადი თუ მორალური დანაკარგისათვის, დაზიანებისა თუ ზიანისაგან, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მოსალოდნელი თუ ფაქტიური, აწმყო თუ მომავალი, ცნობილი თუ უცნობი, განჭვრეტადი თუ განუჭვრეტელი, გასაჩივრებული თუ გაუსაჩივრებელი, რომელიც მათ ჰქონდათ, აქვთ ან შეიძლება ჰქონოდათ თავდაპირველ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წინამდებარე ცვლილებაზე ხელმოწერის დღემდე; და</p>	<p><b>WHEREAS</b>, parties to this Amedement agree that, each party forever discharges and releases the other party from any and all claims, suits, rights, causes of action or demands in litigation or arbitration for money damages or other relief to remedy any alleged harm, pecuniary or non-pecuniary loss, damage or injury, whether direct or indirect, contingent or actual, present or future, currently known or unknown, suspected or unsuspected, contemplated or not contemplated, pled or un-pled, which they had, have, or may have arisen in connection with the Original Agreement before the date of signature of this Amendment.</p>
<p><b>შესაბამისად</b>, წინამდებარე ცვლილების პირობების გათვალისწინებით, თავდაპირველ ხელშეკრულებაში მოცემული ნებისმიერი სხვა დებულების მიუხედავად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:</p>	<p><b>NOW THEREFORE</b>, subject to the terms and conditions of this Amendment, notwithstanding any provisions to the contrary in the Original Agreement, the parties hereby agree as follows:</p>
<p>1. ხელშეკრულების ვადა.</p>	<p>1. <b>TERM OF AGREEMENT.</b></p>
<p>თავდაპირველი ხელშეკრულება, მასში შეტანილ ცვლილებებთან ერთად, ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრამდე.</p>	<p>The Original Agreement, as may be amended, shall stay in force until December 31, 2024.</p>
<p>2. მხარეების პარკირების შემოსავლების განაწილების წესი.</p>	<p>2. <b>ALLOCATION OF THE PARKING REVENUES BETWEEN THE PARTIES.</b></p>
<p>მხარეების პარკირების შემოსავლების განაწილების წესი განისაზღვროს შემდეგნაირად:</p>	<p>Allocation of the Parking Revenues between the parties to be defined as follows:</p>

2024

ინიშნა

დავით აღმაშენებელი

2.1	<p>საწყისი პერიოდი. 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის (შემდგომში „საწყისი პერიოდი“) განმავლობაში მთავრობას უფლება აქვს მხოლოდ 3,310,000 (სამი მილიონ სამასათ ათას) ქართულ ლარზე („მთავრობის საერთო მინიმალური შემოსავლები“) თავდაპირველ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. საერთო შემოსავლების ნებისმიერი დარჩენილი ნაწილი, ისევე როგორც სხვა თანხები, რომელსაც მიიღებს ან რომელიც უნდა მიიღოს სი-ტი პარკმა თავდაპირველ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საწყისი პერიოდის განმავლობაში, ეკუთვნის სი-ტი პარკს. მხარეები თანხმდებიან, რომ საწყისი პერიოდის განმავლობაში სი-ტი პარკი არ არის ვალდებული გადაურიცხოს მთავრობას რაიმე თანხა, რომელიც დაგროვდება მოიჯარის განსაზღვრულ ანგარიშზე.</p>	2.1	<p><b>INITIAL PERIOD.</b> With respect to the period commencing on January 1, 2008 and ending on December 31, 2010 (the “<b>Initial Period</b>”), TCG shall only be entitled to an amount of GEL 3,310,000 (three million three hundred and ten thousand Georgian Laries) (the “<b>TCG’s Aggregate Minimum Revenues</b>”) in connection with the Original Agreement. Any remainder Joint Revenues as well as any other amounts paid or payable to CTP in connection with the Original Agreement during the Initial Period, shall belong to CTP. It is agreed that, during the Initial Period, CTP is not required to transfer to TCG any amount accumulated in the Designated LESSEE Account.</p>
	<p>მთავრობა ადასტურებს, რომ წინამდებარე ცვლილების თარიღისათვის უკვე მიღებული აქვს 1,737,400 (ერთი მილიონ შვიდასოცდაჩვიდმეტი ათას ოთხასი) ქართული ლარი მთავრობის საერთო მინიმალური შემოსავლებიდან.</p>		<p>TCG hereby acknowledges that as of the date hereof, it has already received the amount of GEL 1,737,400 (one million seven hundred thirty seven thousand four hundred Georgian Laries) out of the TCG’s Aggregate Minimum Revenues.</p>
	<p>მხარეები თანხმდებიან, რომ ზემოთმითითებული მთავრობის საერთო მინიმალური შემოსავლები, რომელსაც გამოაკლდება მთავრობის მიერ უკვე მიღებული თანხა, ანუ 1,572,600 (ერთი მილიონ ხუთას სამოცდათორმეტი ათას ექვსასი) ქართული ლარი გადახდით უნდა იქნას სი-ტი პარკის მიერ მთავრობისათვის არა უგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა.</p>		<p>The parties agree that the abovementioned TCG’s Aggregate Minimum Revenues, minus the amount already received by TCG, i.e., an amount of GEL 1,572, 600 (one million five hundred seventy two thousand six hundred Georgian Laries) shall be paid by CTP to TCG no later than December 31, 2020.</p>
	<p>წინამდებარე ცვლილების გაფორმების შემდეგ მეორე ცვლილება ჩაითვლება ბათილად ნებისმიერი მხარის მხრიდან დამატებითი ქმედებების გარეშე.</p>		<p>Upon execution of this Amendment, the Second Amendment shall be null and void without any further action by either party.</p>

2018

სი-ტი პარკი

საერთო მთავრობა



2.2.	მეორე პერიოდი. ყოველი კალენდარული წლისათვის 2011 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული თავდაპირველი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ან შეწყვეტამდე პერიოდი (რომელიც უფრო ადრე დადგება), თავდაპირველი ხელშეკრულების (მისი შესაძლო ცვლილებების და/ან იმ შემთხვევაში თუ ვადა გაგრძელდება ნებისმიერი ასეთი ვადის გაგრძელების გათვალისწინებით) (შემდგომში „მეორე პერიოდი“)	2.2	<b>SECOND PERIOD.</b> With respect to each calendar year within the period commencing on January 1, 2011 and ending upon expiration or termination (whichever occurs earlier) of the Original Agreement (as may be amended, or in the event that the Original Agreement is extended any extension thereof) (the “ <b>Second Period</b> ”):
(2.2.1)	სი-ტი პარკის ჯარიმების ანაზღაურება. მხარეები თანხმდებიან, რომ თავდაპირველი ხელშეკრულების 2.6 მუხლში მოცემული „ჯარიმის“ განსაზღვრება მოიცავს ორივეს - ჯარიმებს და საურავებს, რომლებიც დაკისრებული იქნება ამავე განსაზღვრებაში მითითებული კანონების თანახმად და რომელთა გადახდაც განხორციელდება 2011 წლის 1 იანვრიდან. არც ერთი დებულება წინამდებარე ცვლილებაში არ ცვლის სი ტი პარკის უფლებას მიიღოს 2011 წლის 1 იანვრამდე გადახდილი ჯარიმების 40%, მთავრობის საერთო მინიმალურ შემოსავლებზე მთავრობის უფლების გათვალისწინებით, როგორც ეს 2.1 პუნქტში არის მითითებული.	(2.2.1)	<b>CTP'S FINE REIMBURSEMENT</b> It is hereby clarified that the definition of “Penalty Payments” in section 2.6 of the Original Agreement includes both fines and penalties which are imposed in compliance with the laws set forth in such definition and which are paid from January 1, 2011. Nothing herein shall change CTP's entitlement to 40% of all fines paid before January 1, 2011, subject to TCG's entitlement to TCG's Aggregate Minimum Revenues, according to sub-clause 2.1 above.
(2.2.1.1)	სი-ტი პარკს უფლება აქვს 2011 წლის 1 იანვრის შემდეგ გადახდილი ყოველი პარკირების ჯარიმიდან მიიღოს 3 (სამი) ქართული ლარი (შემდგომში „ჯარიმის ანაზღაურება“). ჯარიმის დარჩენილი თანხა (ჯარიმის ანაზღაურების გამოკლების შემდეგ) შესაბამისად განაწილდება 40/60-ზე პროცენტით სი-ტი პარკსა და მთავრობას შორის.	(2.2.1.1)	CTP shall be entitled to GEL 3.00 (three Georgian Laries) with respect to each fine paid commencing from January 1, 2011 (the “ <b>Fine Reimbursement</b> ”). The rest of the amount of the Penalty Payments (after deduction of the Fine Reimbursement) will be allocated between CTP and TCG by 40/60%, accordingly.

1) 7/12

ი.ი.ი 2/7

დოკუმენტი



(2.2.1.2)	<p>მთავრობა ვალდებულია ყოველი კალენდარული თვის არა უგვიანეს მე-12 სამუშაო დღისა გადარიცხოს სი-ტი პარკის მიერ მითითებულ ანგარიშზე თანხა ლარებში, რომელიც წარმოადგენს წინა კალენდარული თვის განმავლობაში ძირითადი ხელშეკრულების 11.2.2. მუხლის შესაბამისად ჩარიცხული ჯარიმების რაოდენობის 3-ის ნამრავლს. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა არ გადარიცხავს აღნიშნულ თანხას მითითებულ თარიღამდე, სი-ტი პარკს უფლება ექნება, თუმცა არ იქნება ვალდებული, გამოიტანოს აღნიშნული თანხა მოიჯარის განსაზღვრული ანგარიშიდან.</p>	(2.2.1.2)	<p>No later than the 12<sup>th</sup> working day of each calendar month, TCG shall transfer to an account, indicated by CTP, an amount in GEL equal to the number of Penalty Payments deposited in accordance with Section 11.2.2 of the Original Agreement during the previous calendar month multiplied by 3. In case TCG fails to transfer such amount by the abovementioned date, CTP shall be entitled, but not obligated, to withdraw such amount from the Designated LESSEE Account.</p>
(2.2.1.3)	<p>მთავრობა ვალდებულია ყოველი კალენდარული თვის მე-20 დღემდე გადარიცხოს სი-ტი პარკის მიერ მითითებულ ანგარიშზე იმ თანხის 40%, რომელიც დარჩება მეიჯარის განსაზღვრულ ანგარიშზე (2.2.1.1) პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ანაზღაურების გადახდის განხორციელების შემდეგ (შემდგომში „სი ტი პარკის ჯარიმის თანხა“), რაც წარმოადგენს საერთო ჯარიმის იმ თანხის 40%-ს რომელიც დარჩა მას შემდეგ რაც სი-ტი პარკი მიიღებს კუთვნილ 3 (სამ) ლარს სრული ჯარიმის თანხიდან. ჯარიმის დარჩენილი თანხის 60% (ჯარიმის ანაზღაურების გამოკლების შემდეგ) ეკუთვნის მთავრობას.</p>	(2.2.1.3)	<p>By the 20<sup>th</sup> day of each calendar month, TCG shall transfer to an account indicated by CTP, 40% of the remaining amount in the LESSOR's Account after payment of the Fine Reimbursement payable according to the sub-clause (2.2.1.2) of this Section has been conducted (“<b>CTP's Fine Entitlement</b>”), which thus represents the 40% of the rest of the amount of the Penalty Payments left after CTP is paid the entitled 3 GEL from the total lump sum of the Penalty Payments. The remaining 60% of the Penalty Payments (after deduction of the Fine Reimbursement) belongs to TCG.</p>
(2.2.2)	<p>სი ტი პარკის მინიმალური წლიური თანხა</p>	(2.2.2.)	<p><b>CTP MINIMUM ANNUAL AMOUNT.</b></p>
(2.2.2.1)	<p>2.2.1.2 პუნქტით განსაზღვრულ ჯარიმის ანაზღაურებაზე დამატებით, სი-ტი პარკს უფლება აქვს პარკირების შემოსავლიდან (როგორც ეს განმარტებულია თავდაპირველ ხელშეკრულებაში) მიიღოს 2,500,000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ქართული ლარი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაკისრებული დღგ-ს გარეშე, (შემდგომში „სი-ტი პარკის მინიმალური წლიური თანხა“) საიდანაც სი-ტი პარკმა უნდა დააფინანსოს მისი საოპერაციო ხარჯები.</p>	(2.2.2.1)	<p>In addition to the Fine Reimbursement according to section 2.2.1.2., CTP shall be entitled to an amount of GEL 2,500,000 (two million five hundred thousand Georgian Laries) out of the Parking Revenues (as defined in the Original Agreement) excluding VAT payable according to existing legislation (the “<b>CTP Minimum Annual Amount</b>”) out of which CTP shall, inter alia, cover its operational costs.</p>

1012

ი.ე. აბ

ლევან ალავიძე

(2.2.2.2)	<p>პარკირების საფასურიდან და სი ტი პარკის ჯარიმის თანხიდან სი ტი პარკის მიერ მინიმალური წლიური თანხის ფაქტობრივად მიღების შემდეგ, მიღებული პარკირების საფასური (შემდგომში „ნამეტი“) გაიყოფა მხარეებს შორის, ისე, რომ მთავრობას ექნება უფლება მიიღოს ნამეტის 60%, ხოლო სი-ტი პარკს უფლება ექნება მიიღოს ნამეტის 40%.</p>	(2.2.2.2)	<p>After CTP actually receives the CTP Minimum Annual Amount from Parking Fees and CTP's Fine Entitlement, the received Parking Fees (the “<b>Surplus Amount</b>”) will then be divided between the parties so that TCG shall be entitled to 60% of the Surplus Amount and CTP shall be entitled to 40% of the Surplus Amount.</p>
(2.2.2.3)	<p>იმ შემთხვევაში თუ პარკირების საფასურიდან და სი ტი პარკის ჯარიმის თანხიდან სი ტი პარკის მიერ რეალურად მიღებული თანხა კონკრეტული კალენდარული წლის განმავლობაში სი ტი პარკის მინიმალურ წლიურ თანხაზე ნაკლებია, მაშინ (i) თუ მთავრობას შესრულებული აქვს 3.1.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება, სხვაობა სი ტი პარკის მინიმალურ წლიურ თანხასა და სი ტი პარკის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში რეალურად მიღებულ თანხას შორის დაემატება შემდგომი წლებისთვის სი ტი პარკის მინიმალურ წლიურ თანხას და ჩაითვლება მის შემადგენელ ნაწილად, იმ დრომდე ვიდრე, სი ტი პარკი მთლიანად არ მიიღებს აღნიშნულ თანხებს და (ii) თუ მთავრობას შესრულებული არ აქვს 3.1.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება, მაშინ მთავრობა მოცემული კალენდარული წლის ბოლოდან 20 დღის ვადაში გადაუხდის სი ტი პარკს განსხვავებას სი ტი პარკის მინიმალურ წლიურ თანხასა და მის მიერ რეალურად მიღებულ თანხას შორის.</p>	(2.2.2.3)	<p>In case the actual amount received by CTP from Parking Fees and CTP's Fine Entitlement for a specific calendar year, is less than the CTP Minimum Annual Amount, then, (i) if TCG has complied with its undertaking pursuant to sub-clause 3.1.2 below, the amount representing the difference between the CTP Minimum Annual Amount and such actual amount received by CTP during such calendar year, will be added to the CTP Minimum Annual Amount for the following years and will be considered as its component part until CTP receives the abovementioned amounts in full, and (ii) if TCG has not complied with its undertaking pursuant to sub-clause 3.1.2 below, then TCG shall, within 20 days from the end of such calendar year, pay to CTP the difference between the CTP Minimum Annual Amount and such actual amount received by CTP during such calendar year.</p>

დავით აღვაჯიანი

1) 2/8

ი.რ.მ 2/8



	<p>წინა პუნქტის დებულებების გათვალისწინებით, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ან ნებისმიერი სხვა მიზეზით მისი შეწყვეტის შემთხვევაში, სი ტი პარკს არ ექნება მიღებული მისი მინიმალური წლიური თანხა, როგორც ეს ამ მუხლში არის განმარტებული, სი ტი პარკს არ ექნება მინიმალურ წლიურ თანხასა და რეალურად მიღებული თანხის სხვაობის მოთხოვნის უფლება მთავრობის მიმართ და შესაბამისად, მთავრობა არ იქნება ვალდებული გადაუხადოს სი ტი პარკს დამატებითი თანხები.</p>		<p>Subject to the provisions of the previous paragraph, if by the time of the termination of the Original Agreement due to an end of the term of the Original Agreement or by any other reason the CTP has not received its Minimum Annual Amount, as defined in this article, CTP shall not be entitled to further payments from TCG of the difference between the CTP's Minimum Annual Amount and the actual revenues received and accordingly the TCG shall not be obliged to pay the additional amounts to CTP.</p>
(2.2.2.4)	<p>სი-ტი პარკი გამოიტანს მოიჯარის განსაზღვრული ანგარიშიდან მასზე დაგროვებულ ნებისმიერ თანხას იმ დრომდე, ვიდრე გამოტანილი მთლიანი თანხა სი ტი პარკის ჯარიმის თანხის ჩათვლით (2.2.1.2. პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ანაზღაურების გათვალისწინების გარეშე) არ შეადგენს სი-ტი პარკის მინიმალურ წლიურ თანხას. მას შემდეგ, რაც სი-ტი პარკი მიიღებს მინიმალურ წლიურ თანხას კონკრეტული კალენდარული წლისათვის, შემდგომი თვის მე-20 დღემდე სი-ტი პარკი მთავრობას გადაურიცხავს მოიჯარის განსაზღვრულ ანგარიშზე ასეთი კალენდარული თვის ბოლოს დაგროვებული ნებისმიერი დამატებითი თანხის 60%-ს, ჯარიმის ანაზღაურების თანხის გამოტანის სი ტი პარკის უფლების გათვალისწინებით, როგორც ეს 2.2.1.2 პუნქტში არის აღწერილი.</p>	(2.2.2.4)	<p>CTP shall withdraw from the Designated LESSEE Account all amounts accumulated therein, until the aggregate sum of the amount so withdrawn including amounts received from CTP's Fine Entitlement, (not including the Fine Reimbursement defined in the section 2.2.1.2.) shall amount to the sum of the CTP Minimum Annual Amount. After CTP receives the CTP Minimum Annual Amount for a specific calendar year, CTP shall, by the 20<sup>th</sup> day of the following month transfer to TCG 60% of any additional amounts accumulated in the Designated LESSEE Account of such calendar month, subject to CTP's right to withdraw any unpaid Fine Reimbursement as set forth in section 2.2.1.2 above.</p>
(2.2.2.5)	<p>თავდაპირველი ხელშეკრულების 11.6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად (ამ პუნქტის მეორე პარაგრაფი, როგორც ეს თავდაპირველ ხელშეკრულებაშია მოცემული, ამოღებულ იქნას:</p>	(2.2.2.5)	<p>Section 11.6 of the Original Agreement shall be defined as follows (second paragraph of this section as set forth in the Original Agreement, to be omitted):</p>

111

ინი

დავით აღმაშენებელი

	„წლის დასასრულის ანგარიშსწორება – კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, მოიჯარე ვალდებულია შეიჯარეს მიაწოდოს ანგარიში, სადაც მითითებული იქნება გასული კალენდარული წლის ანგარიშებიდან გამომდინარე შეიჯარისათვის გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა.“		“End of Year Settling of Accounts – No later than 30 days after the end of each calendar year, LESSEE shall provide LESSOR a report setting forth the aggregate amount payable to LESSOR on accounts of the previous calendar year.”
(2.2.2.6)	თავდაპირველი ხელშეკრულების 11.8 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:	(2.2.2.6)	Section 11.8 of the Original Agreement to be amended as follows:
	მთავრობას უნდა შეეძლოს დაუბრკოლებლად დააკვირდეს ინტერნეტით მოიჯარის განსაზღვრულ საბანკო ანგარიშს, მაგრამ არ უნდა შეეძლოს ოპერაციების განხორციელება მათთან დაკავშირებით. მთავრობის ამ უფლების განხორციელების შეფერხების შემთხვევაში, სი ტი პარკი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა შესაძლო ზომა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.		TCG should be able to unrestrictedly observe through the internet the Designated LESSEE Account, but not to make any actions with respect thereto. In case such right of TCG is impeded CTP shall use its best efforts in order to remedy the impediment.
(2.2.2.7)	მთავრობას არ აქვს უფლება მინიმალურ შემოსავალზე თავდაპირველ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და თავდაპირველი ხელშეკრულების 6.2.1 მუხლი და 11.3 დანართი გაუქმდეს რომელიმე მხარის მიერ დამატებითი მოქმედებების განხორციელების გარეშე.	(2.2.2.7)	TCG shall not be entitled to any minimum revenues in connection with the Original Agreement, and Section 6.2.1 and Exhibit 11.3 of the Original Agreement shall be cancelled without any further action by either Party.

და-ი აღაკ-ბ

ე ი ი ბ

ე ი ბ ი / ბ



3.	მომსახურება.	3.	THE SERVICES.
(3.1)		(3.1.)	
(3.1.1)	<p>(a) ქ. თბილისში პარკირების საფასური გადაიხდება წლიურად, ნახევარ წერიწადში ერთხელ, ან ყოველკვირეულად. მხარეები აღიარებენ, რომ მიმდინარე წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათ) ქართულ ლარს, ნახევარი წლის პარკირების საფასური შეადგენს 25 ლარს, ხოლო ერთი კვირის პარკირების საფასური შეადგენს 4 ლარს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან, რომ სი-ტი პარკს არ ეკისრება ვალდებულება განახორციელოს საფასურის აკრეფის სხვადასხვა აპარატურის მონტაჟი, როგორც ეს აღწერილია თავდაპირველ ხელშეკრულებაში.</p>	(3.1.1)	<p>(a) Parking fees in the city of Tbilisi is charged on an annual, semi-annual and weekly basis. The Parties acknowledge that the current annual parking fee is set at GEL 50 (fifty Georgian Laries), the semi-annual parking fee is GEL 25 and the weekly parking fee is GEL 4.00. In view of the above it is hereby agreed that CTP is under no obligation to install any of the various means of collection set forth in the Original Agreement.</p>
	<p>(b) მთავრობა უფლებამოსილია პარკირების საფასურის გადახდევინების მეთოდი შეცვალოს საათობრივი სისტემით ძირითადი ხელშეკრულების შესაბამისად (ისე, როგორც ამ ცვლილებების განხორციელებამდე იყო). მსგავსი ცვლილების ძალაში შესვლის თარიღი იქნება ის თარიღი, რომელიც განისაზღვრა მთავრობის მიერ სი ტი პარკისათვის წინასწარ გაგზავნილ შეტყობინებაში მოცემული თარიღის დადგომამდე არანაკლებ 180 დღით ადრე. მთავრობის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში განსაზღვრული თარიღის დადგომისას, ამ ცვლილებების (a) ქვეპუნქტი ავტომატურად გაუქმდება და აღდგება ძირითადი ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები რომლებიც ეხება პარკირების საათობრივ საფასურს, მათ შორის დანართი 11.1.1-ის 2.1. მუხლიში მითითებული პარკირების საფასურის ჩათვლით რომელიც ძირითადი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროს იყო 1.00 (ერთი) ქართული ლარი ,0.50 (ორმოცდაათი) ქართული თეთრი, 0.20 (ოცი) ქართული თეთრი.</p>		<p>(b) TCG may change the parking fees charging system to an hourly based system according to the Original Agreement (before execution of this Amendment). Such change shall enter into force on a date to be set forth in a written notice to be given by TCG to CTP no less than 180 days prior to such date. On the date specified in TCG's notice, the provisions of sub-clause 3.1.1(a) of this Amendment shall automatically be cancelled and the provisions of the Original Agreement regarding the collection of hourly based Parking Fees, including the hourly Parking Fees referenced in Section 2.1 of Exhibit 11.1.1, which, as of the date of execution of the Original Agreement were, GEL 1.00 (one Lari), GEL 0.50 (fifty Tetri), GEL 0.20 (twenty Tetri), shall be reinstated.</p>

ილ

ინი 1/7

დავით აღვაძე



(3.1.2)	მთავრობა ვალდებულია იღებს არ შეამციროს 3.1.1 პუნქტში მითითებული საფასურის თანხები თავდაპირველი ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, წინამდებარე ან სამომავლო ცვლილებებით მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.	(3.1.2)	TCG undertakes not to decrease the rates set forth in sub-clause 3.1.1 throughout the term of the Original Agreement as amended herein and as may be further amended.
(3.2.)	მოიჯარე ვალდებულია ქ. თბილისის მთავრობის მიერ განსაზღვრულ პარკირების ადგილებზე დაამონტაჟოს საგზაო ნიშნები (ყოველ 15 ადგილამდე – ერთი სტაციონალური ნიშანი) დაიტანოს საგზაო მონიშვნები და უზრუნველყოს მათი მოვლა-განახლება. გარდა ამისა მოიჯარე ვალდებულია დაიტანოს სპეციალური მონიშვნები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის განსაზღვრულ ადგილებზე და დაამონტაჟოს შესაბამისი საგზაო ნიშნები.	(3.2.)	CTP shall install road signs (for every 15 place – one stationary sign) on the specified parking places indicated by the TCG, make road markings and provide their maintenance and update. Apart from this CTP shall make special road markings on the areas provided for disabled persons and install road signs accordingly.
(3.3)	გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები განმარტავენ, რომ თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად სი ტი პარკის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, იმ შემთხვევაში თუ მთავრობას სურვილი ექნება განახორციელოს უკვე არსებული პარკირების ფორმისაგან განსხვავებული პარკირების ფორმა სი ტი პარკი წაშლის ყველა არსებულ ძველ ნახაზს და ნახატს ხელახალი დახაზვითი და სამღებრო სამუშაოების ჩატარებამდე.	(3.3)	In order to avoid misunderstanding, it is hereby clarified that, as part of CTP's undertakings under the Original Agreement, in the event that TCG wishes to implement different Parking Mode from the existing one, CTP shall erase all the existing old drawings and paintings before making redrawing and repainting works.
	მოცემული 3.3. პუნქტის მიზნებისათვის, „პარკირების ფორმა“ ნიშნავს პარალელურ პარკირებას, ვერტიკალურ პარკირებას ან 45° პარკირებას.		For the purpose of this sub-clause 3.3, “ <b>Parking Mode</b> ” shall mean, either parallel parking, vertical parking or 45° parking.
(3.4.)	თავდაპირველი ხელშეკრულების დანართი 4.1-ის მე-15 პუნქტი შეიცვალოს შემდეგნაირად:	(3.4.)	The sub-clause 15 of the Exhibit 4.1 of the Original Agreement to be amended as follows:
	მოიჯარემ (სი ტი პარკმა) 2011 წლის ბოლომდე და შემდგომ ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში უნდა გამართოს, იქონიოს და შეინარჩუნოს არანაკლებ 3 (სამი) სპეციალური დაცული სადგომი, იმ პირობით, რომ მთავრობა შეასრულებს 3.7 პუნქტში მითითებულ ვალდებულებას.		LESSEE (CTP) shall, by the end of 2011 and going forward during the whole term of the Original Agreement, set up, possess and maintain, no less than three (3) towing lots, provided that TCG shall have complied with its undertaking according to sub-clause 3.7 below.

7712 2.10 2/2

დოკუმენტი



	ერთ-ერთი აღნიშნული სამი (3) დაცული სადგომიდან (შემდგომში „სადღელამისო სადგომი“) იმუშავენ კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში. ყოველ დღე, დანარჩენი ორი სადგომის დახურვამდე, მასში დარჩენილი ყველა ავტომანქანა გადაყვანილ უნდა იქნას სადღელამისო სადგომზე.		One of the three (3) towing lots (the “All Day Lot”) shall operate 7 days a week 24 hours per day. Every day, before closing each of the two other towing lots, any remaining cars therein, shall be moved to the All Day Lot.
	სი ტი პარკი ვალდებულია მთავრობის მიერ განსაზღვრულ ერთიან ცხელ ხაზს მისცეს წვდომა და უფლება ონლაინ რეჟიმში (ONLINE) თვალი ადევნოს სი ტი პარკის სადგომზე გადაყვანათა კონტროლის სისტემას რომელიც უზრუნველყოფს სადგომზე გადაყვანილ მანქანებთან დაკავშირებულ ონლაინ (ONLINE) ინფორმაციას, მათ შორის გადაყვანილ მანქანათა ადგილმდებარეობას.		CTP shall give to the unified call center indicated by TCG the access and the right to observe online, CTP’s towing control system which provides online information regarding towed cars, including the location to where the cars had been moved to.
(3.5)	სი ტი პარკი ვალდებულია 2011 წლის ბოლომდე და შემდგომ ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში იქონიოს და შეინარჩუნოს არანაკლებ 8 (რვა) ავტომობილი ავტოტრანსპორტის გადასაყვანად, იმ პირობით, რომ მთავრობა შეასრულებს 3.7 პუნქტში მითითებულ ვალდებულებას.	(3.5)	CTP shall, by the end of 2011 and going forward during the whole term of the Original Agreement, possess and maintain no less than 8 (eight) tow trucks, provided that TCG shall have complied with its undertaking according to sub-clause 3.7 below.
(3.6.)	დანართი 4.1–ის 18.5. პუნქტი შეიცვალოს შემდეგნაირად:	(3.6.)	The sub-clause 18.5. of the Exhibit 4.1 to be amended as follows:
	სი ტი პარკი უზრუნველყოფს ქოლ ცენტრის მუშაობას 24/7 სამუშაო რეჟიმით.		CTP shall provide a call centre operating with 24/7 working regime.
(3.7)	პარკირების და პარკირების აკრძალვის ზონები. მთავრობა ვალდებულია იღებს მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ 2011 წლის 30 მაისამდე ქ. თბილისის ცენტრში არსებული ყველა გზა დაიყოს ადგილებად, სადაც პარკირება აკრძალულია, ან ადგილებად, სადაც პარკირება დაშვებულია გადასახადის გადახდის პირობით, ანუ არ იარსებებს უფასო პარკირების ან განუსაზღვრელი სტატუსის გზები.	(3.7)	<b>PARKING AND NON-PARKING ZONE.</b> TCG undertakes to take all necessary steps so that, by May 30, 2011, all roads within Tbilisi Center shall be designated either as places where parking is prohibited or as places where parking is allowed subject to payment i.e., no free parking or un-designated roads.



	<p>„თბილისის ცენტრი“ განისაზღვრება როგორც: (1) ვაკე-საბურთალო (მათ შორის: ჭავჭავაძე, ფალიაშვილი, აბაშიძე, პეკინი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგის გამზირი, შარტავა, კოსტავა); (2) მთაწმინდა-კრწანისი (მათ შორის: რუსთაველი, მელიქიშვილი, კოსტავა, თავისუფლების მოედანი, ლესელიძე, ლეონიძე, პუშკინი); (3) დიდუბე-ჩუღურეთი (მათ შორის: წერეთელი, აღმაშენებელი, მარჯანიშვილი, თამარ მეფე); (4) ისანი-სამგორი (მათ შორის: ქეთევან წამებული, ჯავახეთი, ლილოს ბაზრობა).</p>		<p>“Tbilisi Center“ shall mean: (1) Vake-saburtalo (including, inter alia, chavchavaze, paliashvili, abashidze, pekini, vazha-pshavela, kazbegi avenue, shartava, costava.); (2) Mtatsminda-krtsanisi (including, inter alia, rustaveli, melikishvili, costava, freedom square, leselidze, leonidze, pushkini); (3) Didube-chugureti (including, inter alia, tsereteli, agmashenebeli, marjanishvili, tamar mepe); (4) Isani-samgori (including, inter alia, ketevan tsambuli, javakheti, lilo market).</p>
4.	<p>ძირითადი ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.3.2 პუნქტი შეიცვალოს შემდეგნაირად:</p>	4.	<p>Section 13.3.2 of the Article 13 of the Original Agreement to be amended as follows:</p>
	<p>მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განმეორებითი შეუსრულებლობა და/ან არასადაო პირგასამტეხლოს დროული გადაუხდელობა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივი მოშლის საფუძველად, იმ პირობით რომ მეიჯარეს მოიჯარესთვის ამ მუხლის 13.3.1 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი აქვს წერილობითი შეტყობინება დარღვევის ბუნების შესახებ და დაწესებული აქვს 60 დღიანი გამოსასწორებელ ვადა. თუ მოიჯარე არ გამოსასწორებს დარღვევას ამ 60 დღის განმავლობაში, მეიჯარეს უფლება ექნება ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება (და არ იქნება ვალდებული მოიჯარეს მისცეს ხელახალი გამოსწორების დამატებითი პერიოდი). ასეთ შემთხვევაში მოიჯარეს არ ექნება უფლება დაიბრუნოს გადახდილი თანხა და არ აუნაზღაურდება მის მიერ გაწეული სხვა ხარჯები.</p>		<p>Repetitive breach by LESSEE of any of its obligations according to the Agreement, and/or non-payment of any undisputed Late Charge Payment when due, will serve as a reason for unilateral termination of the Agreement by the LESSOR, provided that, in accordance with the section 13.3.1 of this article LESSOR has already given LESSEE written notice indicating the nature of the breach and a 60-day cure period. If LESSEE shall not cure such breach within such 60 day period, LESSOR shall have the right for unilateral termination of the Agreement by LESSOR (and shall not be required to give LESSEE any additional cure period). Upon such termination, LESSEE shall not be entitled to receive back the money it had paid and will not be compensated for other expenses.</p>

0018

06/07/17

დავით მელიქიშვილი



5.	გარანტია.	5.	<b>GUARANTEE.</b>
	თავდაპირველი ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.1.3 პუნქტი შეიცვალოს შემდგენიარად:		Section 14.1.3 of the Article 14 of the Original Agreement shall be amended as follows:
	“საგარანტიო თანხა მოქმედების მესამე წლისათვის და შემდგომ, განისაზღვრება 500,000 (ხუთასი ათასი) ქართული ლარით.”		“The amount of the Guarantee for the third year of operation and onward is set at GEL 500,000 (five hundred thousand Georgian Laries).”
6.	ენა.	6.	<b>LANGUAGES.</b>
	წინამდებარე ცვლილებას ხელი ეწერება ქართულ და ინგლისურ ენებზე, ორ დედნად, საიდანაც თითო გადაეცემა თითოეულ მხარეს.		This Amendment is executed in Georgian and English in two copies, one for each Party.
7.	სხვა ცვლილებები.	7.	<b>NO FURTHER CHANGES.</b>
	წინამდებარე ცვლილება ძალაში შედის 2011 წლის 1 იანვრიდან. წინამდებარე ცვლილების დებულებებს ენიჭებათ უპირატესი იურიდიული ძალა თავდაპირველ ხელშეკრულებაში მოცემულ ნებისმიერ დებულებასთან მიმართებაში. იმ ცვლილებების გარდა, რომელიც კონკრეტულად არის განხორციელებული წინამდებარე ცვლილების თანახმად, თავდაპირველი ხელშეკრულების ყველა დებულება ინარჩუნებს სრულ იურიდიულ ძალას ყოველგვარი ცვლილების გარეშე.		This Amendment shall enter into force as of January 1, 2011. The terms of these changes are considered as having the superior legal force to any terms of the Original Agreement. Except for the changes specifically made according to this Amendment, all provisions of the Original Agreement shall remain in full force and effect without any changes.
	მხარეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთობლივად განიხილავენ პარკირების საფასურის გაზრდის შესაძლებლობას.		Parties shall jointly discuss the possibility of the increase of parking fees.

რე

იხილეთ 1/7

დავით აღმაშენებელი